W60.7.117.1504

დამატებითი ხელშეკრულება

2017 წლის 28 ივლისის მიერთების ხელშეკრულების ფარგლებში გადასახდელი მიერთების საფასურის გადახდის განწილვადების შესახებ

ქ. თბილისი

28 ივლისი 2017

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - „სსე“ ან „ელექტროსისტემა“), წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის სულხან ზუმბურიძის სახით, ერთის მხრივ, და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“ (შემდგომში“კომპანია”), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მერაბ კიპაროიძის სახით, მეორეს მხრივ, ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე „მხარედ“,

ვინაიდან სსე-სა და კომპანიას შორის 2017 წლის 28 ივლისის მიერთების ხელშეკრულების (შემდეგში „მიერთების ხელშეკრულება“) 5.4 მუხლის თანახმად, „მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ მიერთების მეორე ეტაპის საფასურის განწილვადებაზე, რა დროსაც მიერთების მეორე ეტაპის განწილვადების შესახებ ცალკე ხელშეკრულება გაფორმებული უნდა იქნეს მიერთების ხელშეკრულების 5.3. პუნქტით დადგენილი მიერთების მეორე ეტაპის საფასურის გადახდის ოცდღიან ვადაში“, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. კომპანიის მიერ გადამცემ ქსელზე ობიექტის მიერთების უზრუნველყოფის მეორე ეტაპის საფასური გადახდილ იქნეს ამ ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული მოცულობებისა და ვადების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამავე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად;
2. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაარღვევს დანართი N1-ით დადგენილ გადახდის ვადებს ან პირობებს, სსე უფლებამოსილია შეაჩეროს მიერთების ხელშეკრულების ფარგლებში მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დარღვევა გრძელდება 14 (თოთხმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით, სსე უფლებამოსილია დასვას გადამცემ ქსელზე მიერთების ზღვრული ვადის პროპორციული კორექტირების მოთხოვნა და შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, გააუქმოს მიერთების ხელშეკრულება. აღნიშნული წესით, სსე-ს მიერ მიერთების ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების შემთხვევაში, სსე-ს მიერ არ იქნება გადახდილი რაიმე სახის კომპენსაცია.
3. წინამდებარე დამატებითი ხელშეკრულება წარმოადგენს მიერთების ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ მასთან ერთობლიობაში.

4. წინამდებარე დამატებითი ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მიერთების ხელშეკრულებასთან ერთად.

ელექტროსისტემა
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"

საიდ. კოდი: 204995176

მის: ქ.თბილისი, ზარათაშვილის ქ. №2
სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი:
GE02TB0600000102467636

სულხან ხუმბურიძე
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/
რეაბილიტაციის მმართველი

კომპანია
შპს „გარდაბნის თბოსადგური 2"

საიდ. კოდი: 426529759

მის: საქართველო, გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ., N2ბ

მერაბ კიპაროიძე
გენერალური დირექტორი

დანართი N1

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ლარში (დღგ-ის ჩათვლით)	5,606,600.00

ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 7/28/2017

#	ოპერაცია	საერთო ღირებულების %	თანხა ლარში (დღგ-ის ჩათვლით)	გადახდის ვადა (კალენდარული დღე) ხელშეკრულების ხელმოწერიდან	გადახდის თარიღი
1	გადახდა #1	30.00%	1,681,980.00	20	8/17/2017
2	გადახდა #2	60.00%	3,363,960.00	160	1/4/2018
3	გადახდა #3	10.00%	560,660.00	620	4/9/2019
	ჯამი:	100.00%	5,606,600.00		

შენიშვნა: 1) თუ წინამდებარე ცხრილში მითითებული გადახდის თარიღი ემთხვევა შაბათ-კვირას ან საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ სხვა უქმე/არასამუშაო დღეს, გადახდის თარიღი განისაზღვრება მომდევნო სამუშაო დღით;
2) იმ შემთხვევაში, თუ მიერთების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ელექტროსისტემის მიერ სრულად დასრულდება წინამდებარე ცხრილში გადახდა #3-ისთვის განსაზღვრულ თარიღზე ადრე, გადახდა #3-ის თარიღი განისაზღვრება სსე-სა და კომპანიას შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღით.

სულხან ზუმბურიძე

მერაბ კიპაროიძე